

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №01  
2021 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №11 დადგენილებაში (სსმ, 29/12/2020 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.131.016308) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	37,401,465	32,545,841	35,102,800	35,102,800	-
გადასახადები	15,063,746	13,230,307	16,209,100	16,209,100	-
გრანტები	17,534,150	16,976,034	2,245,700	2,245,700	-
სხვაშემოსავლები	4,803,570	2,339,500	16,648,000	16,648,000	-
<b>ხარჯები</b>	<b>16,787,660</b>	<b>19,746,847</b>	<b>19,409,542</b>	<b>19,409,542</b>	-
შრომის ანაზღაურება	7,814,476	2,159,719	2,228,200	2,228,200	-



საქონელი და მომსახურება	4,791,836	1,932,097	1,966,782	1,966,782	-
პროცენტი	396,024	266,206	178,095	178,095	-
სუბსიდიები	1,012,698	10,214,552	11,468,885	11,468,885	-
გრანტები	799,599	4,100	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	614,474	782,381	1,443,600	1,443,600	-
სხვა ხარჯები	1,358,554	4,387,792	2,123,980	2,123,980	-
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>20,613,805</b>	<b>12,798,994</b>	<b>15,693,258</b>	<b>15,693,258</b>	-
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>15,987,356</b>	<b>14,275,528</b>	<b>16,404,715</b>	<b>16,404,715</b>	-
ზრდა	16,132,415	14,299,653	16,404,715	16,404,715	-
კლება	145,059	24,125	-	-	-
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-1,612,002</b>	<b>-1,500,659</b>	<b>-711,457</b>	<b>-711,457</b>	-
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-3,119,225</b>	<b>-3,495,400</b>	<b>-2,758,515</b>	<b>-2,758,515</b>	-
ზრდა	-	-	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-
კლება	3,119,225	3,495,400	2,758,515	2,758,515	-
ვალუტა, დეპოზიტები	3,119,225	3,495,400	2,758,515	2,758,515	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-1,507,224</b>	<b>-1,994,741</b>	<b>-2,047,058</b>	<b>-2,047,058</b>	-
ზრდა	-		-		
კლება	1,507,224	1,994,741	2,047,058	2,047,058	-
<b>ბალანსი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

**მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	37,546,524	32,569,966	35,102,800	35,102,800	-
შემოსავლები	37,401,465	32,545,841	35,102,800	35,102,800	
არაფინანსური აქტივების კლება	145,059	24,125	-	-	



ფინანსური აქტივების კლება (ნაშთისგამოკლებით)	-	-	-	-	-
<b>გადასახდელები</b>	<b>34,427,299</b>	<b>36,041,241</b>	<b>37,861,315</b>	<b>37,861,315</b>	<b>-</b>
ხარჯები	16,787,660	19,746,847	19,409,542	19,409,542	
არაფინანსური აქტივების ზრდა	16,132,415	14,299,653	16,404,715	16,404,715	
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	
ვალდებულებების კლება	1,507,224	1,994,741	2,047,058	2,047,058	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>3,119,225</b>	<b>- 3,471,275</b>	<b>- 2,758,515</b>	<b>- 2,758,515</b>	<b>-</b>

## თავი II

### მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 35 102 800 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
<b>შემოსავლები</b>	<b>37,401,465</b>	<b>32,545,841</b>	<b>35,102,800</b>
გადასახადები	15,063,746	13,230,307	16,209,100
გრანტები	17,534,150	16,976,034	16,648,000
სხვა შემოსავლები	4,803,570	2,339,500	2,245,700

### მუხლი 4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 16 909 100 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
<b>გადასახადები</b>	<b>15,063,746</b>	<b>13,230,307</b>	<b>16,209,100</b>
საშემოსავლო გადასახადი			
დამატებული ღირებულების გადასახადი	9,755,057	9,927,300	12,409,100
ქონების გადასახადი	5,308,689	3,303,007	3,800,000

### მუხლი 5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 16 648 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>17,534,150</b>	<b>16,976,034</b>	<b>16,648,000</b>
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	17,534,150	16,976,034	16,648,000



საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი			
<b>სპეციალური ტრანსფერი</b>	<b>2,608,785</b>	<b>7,843,065</b>	<b>2,140,000</b>
მ.შ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	171,600		
მ.შ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი		5,285,000	
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	618,120	2,558,065	2,140,000
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1,819,065		
<b>კაპიტალური ტრანსფერი</b>	<b>14,925,365</b>	<b>9,132,969</b>	<b>14,508,000</b>
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	14,925,365	9,132,969	14,508,000

**მუხლი 6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 245 700 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>4,803,570</b>	<b>2,339,500</b>	<b>2,245,700</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>780,590</b>	<b>400,860</b>	<b>464,960</b>
<b>პროცენტები</b>	<b>219,859</b>	<b>162,416</b>	<b>150,000</b>
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	219,859	162,416	150,000
<b>რენტა</b>	<b>560,731</b>	<b>238,444</b>	<b>314,960</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	176,891	120,000	120,000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობადასხვა) გადაცემიდან	383,841	118,444	194,960
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>738,535</b>	<b>654,340</b>	<b>455,140</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	613,344	579,200	370,000
<b>სანებართვო მოსაკრებელი</b>	<b>223,511</b>	<b>426,700</b>	<b>120,000</b>
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ანბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	223,511	426,700	120,000
<b>საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი</b>	<b>664</b>		
<b>სათამაშობი ზნესის მოსაკრებელი</b>	<b>86,000</b>	<b>2,500</b>	
<b>მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის</b>	<b>303,170</b>	<b>150,000</b>	<b>250,000</b>



დასუფთავებისათვის			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	125,191	75,140	85,140
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	125,191	75,140	85,140
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1,717,029	1,100,000	1,169,500
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,567,416	184,300	156,100

### თავი III

#### ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

#### მუხლი 7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 19 409 542 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>ხარჯები</b>	<b>16,787,661</b>	<b>19,746,847</b>	<b>19,409,542</b>	<b>19,409,542</b>	-
შრომის ანაზღაურება	7,814,476	2,159,719	2,228,200	2,228,200	-
საქონელი და მომსახურება	4,791,836	1,932,097	1,966,782	1,966,782	-
პროცენტი	396,024	266,206	178,095	178,095	-
სუბსიდიები	1,012,698	10,214,552	11,468,885	11,468,885	-
სოციალური უზრუნველყოფა	799,599	4,100	-	-	-
სხვა ხარჯი	614,474	782,381	1,443,600	1,443,600	-

#### მუხლი 8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 16 404 715 ლარის ოდენობით მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 16 404 715 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების	31,325	74,791	85,350	85,350	-



საქმიანობის უზრუნველყოფა					
მუნიციპალიტეტის საკრებულო	8,466	1,200	1,500	1,500	-
მუნიციპალიტეტის მერია	17,484	73,591	79,500	79,500	-
სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	-	-	4,350	4,350	-
დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	5,375	-	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	15,174,117	10,891,449	10,913,080	10,913,080	-
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,476,951	5,299,351	2,653,530	2,653,530	-
ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	6,889,447	4,669,905	2,300,408	2,300,408	-
ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა	449,039	-	-	-	-
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელის მოწყობა	34,485	53,600	61,200	61,200	-
გარე განათების ღონისძიებები	103,980	575,846	291,922	291,922	-
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,957,746	1,579,430	4,279,914	4,279,914	-
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	-	390,000	1,388,758	1,388,758	-
წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,010,086	706,391	24,950	24,950	-
სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა	422,880	95,355	2,866,206	2,866,206	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული არხმწმენდი და 1 ერთეული ნაგავმზიდი) შეძენა	524,780	-	-	-	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უნუვერსალური ექვსკვადრირი) შეძენა	-	387,684	-	-	-
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები	4,798,949	3,451,029	3,797,462	3,797,462	-
სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები	3,995,341	3,139,492	2,936,222	2,936,222	-
მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები	684,138	69,537	250,226	250,226	-
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქობულეთის ცენტრის კეთილმოწყობა	-	-	204,118	204,118	-
საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	119,470	242,000	376,896	376,896	-
პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	-	-	30,000	30,000	-
მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა	137,280	34,320	-	-	-
ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის	803,191	527,319	182,174	182,174	-



მხარდაჭერის პროგრამა)					
დასუფთავება და გარემოს დაცვა	258,325	133,160	22,200	22,200	-
მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები	217,000	130,500	-	-	-
გამწვანების ღონისძიებები	41,325	2,660	22,200	22,200	-
<b>განათლება</b>	<b>78,367</b>	<b>2,136,851</b>	<b>5,089,097</b>	<b>5,089,097</b>	-
ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	5,511	7,380	1,850	1,850	-
საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	72,856	2,129,471	5,087,247	5,087,247	-
<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები</b>	<b>589,226</b>	<b>1,062,522</b>	<b>294,788</b>	<b>294,788</b>	-
<b>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>537,446</b>	<b>1,035,919</b>	<b>284,138</b>	<b>284,138</b>	-
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	1,750	-	-	-	-
სპორტული მოედნების მოწყობა	535,696	1,035,919	284,138	284,138	-
<b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>51,780</b>	<b>26,603</b>	<b>10,650</b>	<b>10,650</b>	-
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	-	24,753	2,500	2,500	-
ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	2,700	-	1,300	1,300	-
ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	20,922	-	-	-	-
გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"	-	-	5,650	5,650	-
კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	23,668	-	-	-	-
ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	4,490	1,850	1,200	1,200	-
<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1,055</b>	<b>880</b>	<b>200</b>	<b>200</b>	-
<b>ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები</b>	<b>1,055</b>	<b>880</b>	<b>200</b>	<b>200</b>	-
ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	1,055	880	200	200	-
<b>ჯამი</b>	<b>16,132,415</b>	<b>14,299,653</b>	<b>16,404,715</b>	<b>16,404,715</b>	-

ბ) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	145,059	24,125	-	-	-



ძირითადი აქტივები	488	2,250			
არაწარმოებული აქტივები	144,571	21,875	-	-	-
მიწა	144,571	21,875	-	-	

**მუხლი 9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**  
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა **35,814,257** ფუნქციონალურ ჭრილში, თანადაართული რედაქციით.

(ლარი)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,672,563	4,042,764	3,611,167
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,474,815	3,362,948	3,425,072
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,452,520	3,047,948	3,195,072
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	22,295	315,000	230,000
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1,197,748	679,816	186,095
702	თავდაცვა	119,389	123,800	131,250
7021	შეიარაღებული ძალები	119,389	123,800	131,250
704	ეკონომიკური საქმიანობა	7,929,276	6,808,670	3,966,108
7045	ტრანსპორტი	7,929,276	6,808,670	3,966,108
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,929,276	6,808,670	3,966,108
705	გარემოს დაცვა	2,897,741	2,620,619	5,490,541
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2,474,861	2,525,264	2,624,335
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	422,880	95,355	2,866,206
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	9,874,435	10,873,994	8,880,966
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	5,219,570	5,733,298	5,094,324
7063	წყალმომარაგება	2,301,929	2,350,549	1,496,320
7064	გარე განათება	907,966	1,441,346	1,141,922
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,444,970	1,348,801	1,148,400
707	ჯანმრთელობის დაცვა	448,236	743,600	1,445,240
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	448,236	743,600	1,445,240





708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,057,661	2,325,398	1,695,718
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	989,349	1,403,203	689,538
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,068,312	922,195	1,006,180
709	განათლება	4,209,559	6,063,825	10,095,937
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,444,101	3,233,015	4,283,170
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	765,458	2,830,810	5,812,767
710	სოციალური დაცვა	711,216	443,830	497,330
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	170,888	200,000	220,000
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	540,328	243,830	277,330
	მთლიანი ხარჯები	32,920,076	34,046,500	35,814,257

#### თავი IV

### ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილება

#### მუხლი 10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	20,613,805	12,798,994	15,693,258
მთლიანი სალდო	-1,612,002	-1,500,659	-711,457

#### მუხლი 11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 2708515 ლარის ოდენობით;
- განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-

- განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების კლება 2 708 515 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	3,119,225	3,495,400	2,708,515
ვალუტა და დეპოზიტები	3,119,225	3,495,400	2,708,515



**მუხლი 12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება- **2 047 058** ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-15 072 24	-1 994 741	-2 047 058
ზრდა			
საშინაო			
კლება	1 507 224	1 994 741	2 047 058
საშინაო	1 507 224	1 994 741	2 047 058

**მუხლი 13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 230 000 ლარის ოდენობით.

**თავი V**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ ქვეპროგრამები

**მუხლი 14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები**

\* ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

\* დასუფთავება და გარემოს დაცვა;

\* განათლების ხელშეწყობა;

\* კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

\* მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)</b>
1	<p><b>პროგრამის მიზანი:</b> წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.</p> <p><b>პროგრამის აღწერა:</b> აღნიშნული ხარჯები ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ მუშაობას, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები. ასევე, მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების დაფარვის ხარჯებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯებს, დამოუკიდებელი აუდიტორიული დასკვნებისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს.</p>
	<b>სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03)</b>
1.1	<p><b>პროგრამის მიზანი:</b></p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება.</p> <p><b>პროგრამის აღწერა:</b></p>



ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებელი (სტიქიური მოვლენებისა და ფორსმაჟორული სიტუაციების), გადაუდებელი გადასახდელის ეფექტური და შეუფერხებლად დაფინანსება.

**მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 04)**

**პროგრამის მიზანი:**

1.2

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

**პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თანადაფინანსებისა და მიღებულ სესხებზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.

**პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)**

2

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, განხორციელდება ქალაქის, დაბებისა და სოფლების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

**საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 01)**

**პროგრამის მიზანი:**

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროის შემცირება.

**პროგრამის აღწერა:**

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება

2.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელის მოწყობა;

მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორება-ზოვნება);

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება;

გარე განათების ღონისძიებები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები.

**ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროისა და სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო ხარჯების შემცირება.



2.1.1	<p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების, გადასასვლელებისა და ტროტუარების მოწყობას. კერძოდ: შიდა ქუჩების ტროტუარების, ველობილიკების, ავტობუსების გაჩერებების შექმნის მოწყობას. სანიადვრე სისტემის მოწესრიგების და ქუჩების მოსაფალტების სამუშაოების განხორციელებას; დეკორატიული ფილებით მოპირკეთებას, ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას. აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს</p> <p>ქალაქ ქობულეთში, ყოფილი სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარედ ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა;</p> <p>ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობა;</p> <p>ვიდეოკამერების ექსპლუატაცია;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადასასვლელების (კომახიდის ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი, მეგობრობის ქუჩის ზღვაზე გადასასვლელი, რუსთაველის ქ. №160 ზ-დან კომახიდის ქ. №100-მდე გადასასვლელი, რუსთაველის ქუჩა №266-268 შესასვლელი გზა, რუსთაველის ქ. №138-დან კომახიდის ქ. №140-მდე) კეთილმოწყობა;</p> <p>ქალაქ ქობულეთში, თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები.</p>
2.1.2	<p><b>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 03)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები.</p>
2.1.3	<p><b>მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, სამირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება,) (პროგრამული კოდი 02 01 04)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>მდინარეების შესართავებთან ტერიტორიის მოწესრიგება.</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>ზამთარში ძლიერი შტორმის შედეგად მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალა და სანაპიროს ტერიტორია დააზიანა. მდინარე კინტიშის და მდინარე დეხვას შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები გატარდება.</p>
2.1.4	<p><b>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება</b></p> <p><b>(პროგრამული კოდი 02 01 05)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>მუნიციპალური საატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>ქობულეთის ტრანსრეგულირება მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას</p>



რაიონის სხვადასხვა მიმართულებით და ქალაქ ბათუმში. თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება შეადგენს საშუალოდ 22400 მგზავრთა ბრუნვას ემსახურება 8 სამარშუტო ხაზს. ესენია: ჯიხანჯური-ბათუმი, აჭყვისთავი -ბათუმი, ჩოლოქის მეურნეობა-ბათუმი, ქობულეთი-ქახათი, დაგვა-ქობულეთი, ზედა ხუცუბანი-ქობულეთი, რკინიგზის სადგური- აღმაშენებლის ქუჩა და რკინიგზის სადგური -რუსთაველის ქუჩა (ორი ავტობუსი) ყოველდღიურად საშუალოდ 740-770 მგზავრს ემსახურება და შემოსავალი შეადგენს 508 ლარს, ხოლო ხარჯი 1318 ლარს. აქედან გამომდინარე ყოველდღიური ზარალი შეადგენს 810 ლარს. ამიტომ მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრობის ფიქსირებული მინიმალური საფასური. არსებული ფინანსური გაანგარიშებით საწარმოს შემოსავლები არ არის საკმარისი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ფასის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე საწარმოს შემოსავლები ხარჯებთან მიმართებაში უარყოფითია. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წლის განმავლობაში ცალკეული თვეების მიხედვით სატრანსპორტო კომპანიის მიერ წარმოქმნილი საოპერაციო დეფიციტის დაფარვას.

**გარე განათების ღონისძიებები**

(პროგრამული კოდი 02 01 06)

**ქვეპროგრამის მიზანი:**

გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

2.1.5

გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 01 07)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება

**ქვეპროგრამის აღწერა:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების - სამუშაოები

2.1.6

**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)**

**პროგრამის მიზანი:**

ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

2.2

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები;

წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია;



სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;

უკანონო მიმენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი;

შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური.

**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები(პროგრამული კოდი 02 02 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგება: სახურავების გადახურვა და ლიფტების მოწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვის სამუშაოები, აგრეთვე სოფელ მუხაესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავის და კიბის მოწყობის სამუშაოები და ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა .

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა;

ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა;

ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა.

**წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წლით უზრუნველყოფა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამით მოხდება ყველა იმ აუცილებელი ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან, ასევე განხორციელდება შპს "ქობულეთის წყალის" სუბსიდირება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

შპს "ქობულეთის წყალი";

ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი ";

**სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება,

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროექტის ფარგლებში მოხდება დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

2.2.1

2.2.2

2.2.3



ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა.

**უკანონომიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 02 04)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაწმენდაუნებართვო, უსახური, ამორტიზირებული შენობა ნაგებობებისაგან.

2.2.4

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა - ნაგებობების (მიშენებების) სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებას.

**შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური (პროგრამული კოდი 02 02 05)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მაღალი რისკის ზონებში დერატიზაცია-დეზინსექციის ჩატარება.

2.2.5

**ქვეპროგრამის აღწერა:**

დაგეგმილი პროფილაქტიკური სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია მავნე მწერებისა და მღრნელების მაქსიმალურ შემცირებასთან მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მიმართულებით: 1. მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დეზინსექციათვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი; 2. მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დერატიზაცია თვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი.

**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)**

**პროგრამის მიზანი:**

ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემო

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამა მოიცავს შენობა ნაგებობების მშენებლობას, რომლის ფარგლებში მოეწყობა სოფლებში ადმინისტრაციულ შენობები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.3

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები;

მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა;

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა;

აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი;

პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი.

**სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 03 01)**

(პროგრამული კოდი 02 03 01)

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება

**ქვეპროგრამის აღწერა:**



3.3.1	<p>პარკებისა და სკვერების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა;</p> <p>ქალაქ ქობულეთში სპორტ-სკოლასთან არსებული ფეხბურთის მოედანის რეაბილიტაცია;</p> <p>ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (II ეტაპი); (გარდამავალი პროექტი 2020 – 2021 წწ.).</p>
3.3.2	<p><b>მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 03 02)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაციას;</p> <p>სოფელ ლეღვას ადმინისტრაციულ შენობაში სამედიცინო პუნქტისათვის ოთახებისა და სველი წერტილის მოწყობა;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აჭყვაში სალექციო დარბაზის მოწყობა.</p>
3.3.3	<p><b>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 03)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>სარეკრეაციო და გამწვანებელი ტერიტორიების გაფართოება</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>სოფლის ცენტრების რეაბილიტაცია</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა.</p>
3.3.4	<p><b>საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 03 04)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>სამომავლოდ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება</p>
3.3.5	<p><b>აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 03 05)</b></p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b></p> <p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p>





მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

**პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი (პროგრამული კოდი 02 03 06)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სამომავლოდ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა

**თუნუქის შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 05)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგება: სახურავებისთვის საჭირო მასალის შესყიდვა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის მოსახლეობისათვის შეძენილი იქნება სახურავის მოსაწყობად საჭირო მასალა.

**ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 02 06)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანი სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამის მთავარი დანიშნულება, გარდა სოფლის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისა, არის სოფლების დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის უნარების განვითარება.

**პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

**მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)**

**პროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაცვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მოწყობა-მორეცხვა; ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

დასუფთავების ღონისძიებები;

ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება.

**გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)**



**პროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

**პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სეზონური და მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეებით გაფორმება. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქობულეთი დაბა ჩაქვი), ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, გაცეღვითი და დაწამლვითი სამუშაოები. ორგანიზაცია მოვლა-პატრონობას ახორციელებს მრავალწლოვანი ხეების და მარად მწვანე ხე მცენარეების, კონკრეტულად: გასხვლა, შეღებვა და დაზიანებული ხეების მოჭრით და გადაბეღვით სამუშაოებს. ერთწლიანი ყვავილებით ანაშენიანებს მუნიციპალიტეტის საუთრებაში მყოფ სკვერებს, ხდება მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით. ასევე ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში ხორციელდება მრავალწლიანი ხე მეცარეების დარგვით სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება

4.2

**პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

5

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

**სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

**პროგრამის მიზანი:**

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**პროგრამის აღწერა:**

5.1

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადო არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საამლორდელი პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულად პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქობულეთის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება;



საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში განათლების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

5.1.1

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, საამღორდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან; მეთოდური მიმართულებების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღის აღზრდელთა სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა შესყიდვას; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განათლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.

**საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ბაღების კეთილმოწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

ქალაქ ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებლობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლედვაში საბავშვო ბაღის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები.

5.1.2

**პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

6

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**



**პროგრამის მიზანი:**

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია

**პროგრამის აღწერა:**

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

6.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა;

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;

სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა;

სპორტული მოედნების მოწყობა.

**ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.

6.1.1

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა; საზოგადოების აქტიური ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზება

6.1.2

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1) მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობის და განვითარების ხელშეწყობა. 2) სპორტული ტურნირებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. 3) ქობულეთელი სპორტსმენის/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება.

**სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.

6.1.3

**ქვეპროგრამის აღწერა:**

რაგბის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდ-ახალგაზრდებში. რაგბის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებული საერთაშორისო თუ რეგიონალურ ტურნირებში მონაწილეობა, პროფესიონალი მორაგბეების გაწვრთვა და მათი დახელოვნება.



**სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

6.1.4

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 4 ერთეული (რუსთაველის ქ. №166ა, რუსთაველის ქ. №162დ, რუსთაველის ქ. №140 და ლესელიძის ქუჩაზე) სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ქალაქ ქობულეთში სპორტ-სკოლასთან არსებული ფეხბურთის მოედანის რეაბილიტაცია.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**პროგრამის მიზანი:**

